ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მშობლებისა და სკოლის თანამშრომლობა

ნინო ცომაია
სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი

ანოტაცია:
ჩემი საკონფერენციო თემა ეხება „სკოლისა და მშობლების თანამშრომლობას", ანუ რამდენად დიდ დროს უთმობენ მშობლები ბავშვებს და რამდენად ჩართულნი არიან სკოლის ცხოვრებაში.
დასაწყისში მიმოვიხილავ სხვადასხვა თეორიის წარმომადგენელთა მოსაზრებებს აღზრდის შესახებ. მოსწავლეთა თვითაღზრდა, პირველ ყოვლისა, მასწავლებელსა და მშობელზეა დამოკიდებული. შემდგომ განვიხილავ თანამედროვე მშობლების დამოკიდებულებას სასწავლო პროცესსა და მათ დროის უქონლობას. კვლევამ დაადგინა, რომ ბავშვებს, ვისაც მშობლებთან ურთიერთობა აკლიათ, ოთხჯერ ნაკლები წარმატება აქვთ სწავლაში თანატოლებთან შედარებით. თანამედროვე ცხოვრება, დღევანდელობა, მოითხოვს მშობლის აქტიურ მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, რადგან მოსწავლის ქცევა სკოლაში დიდად არის დამოკიდებული ოჯახურ აღზრდაზე. სწორი აღზრდა ოჯახში ბავშვის დისციპლინისა და კარგის სწავლის დაწინდარია. აღვნიშნავ, თუ რატომ ანიჭებენ უპირატესობას მშობლები კერძო სკოლას და ბოლოს, დავძენ , თუ რატომ არის აუცილებელი მშობლების კონტაქტი შვილებთან.

საკვანძო სიტყვები: *აღზრდა; ბავშვი; ოჯახი; სკოლა.*

ბავშვის აღზრდა რთული, ხანგრძლივი პროცესია. აღზრდა მის შესაძლებლობების ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს: სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში.
უძველესი დროიდან მეცნიერთა დავის საგანია ის, თუ რა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე - თანდაყოლილი თვისებები, სოციალური გარემო, ორივე ერთად, თუ აღზრდა.
პირველი თეორიის წარმომადგენლები (სოკრატე, პლატონი, ლაიბნიცი) იმ აზრისანი იყვნენ, რომ ადამიანის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისებები, რომლებიც მას მემკვიდრეობით გადაეცემა; რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს ადამიანის განვითარების პროცესში, რომ მოზარდს მემკვიდრეობით გადაეცემა როგორც ფიზიოლოგიური თვისებები, ასევე ხასიათი, მიდრეკილებები, ტემპერამენტი და ა.შ.
ინგლისელი ფილოსოფოსი და პედაგოგი ბავშვს ადარებდა „სუფთა დაფას". მისი მტკიცებით, ადამიანი დაბადებიდან ისეთია, როგორც სუფთა დაფა და მისი ჩამოყალიბება სრულფასოვან პიროვნებად მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა

ISSN 1512-1801

ზეგავლენას მოახდენს მასზე მისი გარემომცველი სოციალური გარემო, საზოგადოებრივი ცხოვრება [1, 147].

საბოლოოდ მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „პიროვნების ფორმირების პროცესი - ახალდაბადებული ბავშვის ზრდადასრულებულ, ცოდნითა და შეიარაღებულ-ადამიანად ჩამოყალიბება-გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით მიმდინარეობს, ზოგადად ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პიროვნების ფორმირება, შეიძლება იყოს გარემო, აღზრდა, რომელშიც მოზარდს უხდება ყოფნა და ის გენეტიკური, მემკვიდრეობითი თავისებურებანი, რომლებიც ახალშობილს დაბადებიდან დაჰყვება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარემოს ცნებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს- ერთია, ის გარემო, რომელშიც მოზარდის აღზრდა ორგანიზებულად მიმდინარეობს, მაგალითად: სკოლა, ოჯახი და ამიტომ ამგვარი გარემოს ზემოქმედებას მოზარდზე, ჩვეულებრივ აღზრდას ვუწოდებთ, მეორე კი, ის გარემო, რომელიც მოზარდზე არამიზანმიმართულად და არაორგანიზებულად, სტიქიურად მოქმედებს, ასეთ გარემოდ გვევლინება საზოგადოება, მეგობართა წრე, მასმედიის საშუალებები" (2.8).

მოსწავლეთა თვითაღზრდა, პირველ ყოვლისა, მასწავლებელსა და მშობელზეა დამოკიდებული.

მომავალი თაობის აღზრდა უმთავრესად სკოლაში მიმდინარეობს, მაგრამ სკოლასთან ერთად განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ოჯახი ასრულებს.

ოჯახში იწყება ბავშვის აქტიური ურთიერთობა, მისი ძირითადი თვისებების აღმოცენება. აქ ეყრება საფუძველი მის ზნეობასა და მორალს, ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, მის პიროვნულ თვისებებს. ამიტომ, ბუნებრივია, აღზრდის შედეგები არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ოჯახი, როგორც სააღმზრდელო გარემო, რამდენად მზადაა მშობელი შვილის აღზრდისათვის, როგორია მისი პედაგოგიური კულტურა და და როგორია ოჯახის უფროსს წევრებს შორის დამოკიდებულება.

ბავშვის სწორ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლისა და მასწავლებლის პირად მაგალითს.

ბუნებრივია, ყველა მშობელს სურს თავისი ბავშვი კარგ მოქალაქედ აღიზარდოს, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩეს, თუ ბავშვს პატარაობიდანვე კარგ ჩვევებს არ ჩავუნერგავთ. აღზრდაში რაიმე წარმატების მიღწევა შეუძლებელია, თუ სკოლა და ოჯახი ერთობლივად არ იმუშავებენ. სამწუხაროდ, საერთო პოზიციაზე დგომის ნაცვლად, ეს ორი მხარე ემიჯნება ერთმანეთს.

წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი – მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. გამოკვლევების თანახმად დადგინდა, რომ, რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების მიღების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მას სწავლების პროცესში შექმნილი პრობლემების გადალახვაში, მით უფრო მკვეთრად იზრდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სკოლაში. იზრდება მოსწავლის მოტივაცია, ბავშვს მეტად უყალიბდება სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.

ISSN 1512-1801

დღეს მშობლებს ენაცვლებიან ძიძები, რომლებიც მთელ დღეს ატარებენ ბავშვებთან, მართალია, საჭიროა სამსახური, მაგრამ ბავშვები უცხოვდებიან და მშობლები შვილებთან კარგავენ ავტორიტეტს. პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ჯგუფმა 5 000 მოსწავლე შეისწავლა და გამოარკვია, რომ ბავშვებს, ვისაც მშობლებთან ურთიერთობა აკლიათ, ოთხჯერ ნაკლები წარმატეტება აქვთ სწავლაში თანატოლებთან შედარებით. უყურადღებობის მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს, ეს შეიძლება იყოს როგორც მშობლის ასოციალური ქცევა, ასევე წარმატებული მშობლის დაძაბული სამუშაო გრაფიკი. ანუ ლოთისა და ნარკომანის შვილიც ისევე ზარალდება მშობელთან ურთიერთობის დეფიციტით, როგორც საოჯახო საქმეებზე ზედმეტად გადართული დიასახლისის, ან 24 საათით დაკავებული თანამდებობის პირთა შვილები [3].

საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოშვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ტემპი გაცილებით ჩქარია, ვიდრე იყო ჩვენი მშობლების დროს. გარდა ამისა, ყოფითი პრობლემების გამო, ვერ ახერხებენ მშობლები შვილებთან ურთიერთობას. როდესაც ისინი ზრუნავენ იმაზე, რომ შვილს ნორმალური საკვები ჰქონდეს, დაუკმაყოფილოს ფიზიოლოგიური თუ სხვა საჭირო მოთხოვნილებები. ამ ყველაფრის გამო აღარ რჩებათ შვილებთან საურთიერთობო დრო.

მუდამ „მოუცლელი", „საქმით დაკავებული" მშობლების შესახებ სუხომლინსკი წერდა: „რაგინდ საპასუხისმგებლო, რთული შემოქმედებითი სამუშაოც უნდა გებაროთ წარმოებაში, იცოდეთ, რომ შინ გელით კიდევ უფრო საპასუხისმგებლო, უფრო რთული, უფრო ფაქიზი სამუშაო-ადამიანის აღზრდა" [4.20]

მშობელთა ნაწილი კმაყოფილდება მხოლოდ ბავშვის მატერიალური უზრუნველყოფით და მის აღზრდას მთლიანად სკოლას ანდობს.

საქართველოში სკოლის შერჩევა რთულია, იმ მშობლებისთვის, რომლებსაც მეტ-ნაკლებად აქვთ საშუალება, შვილის განათლებაში ფული პირველივე კლასიდან ჩადონ, მთავარი არჩევანი საჯარო სკოლასა და კერძო სასწავლებელს შორის კეთდება.

უმეტესად ძველი ყაიდის პედაგოგები, უღიმღამო სასწავლო გარემო, 35 და ზოგჯერ, უფრო მეტი მოსწავლე ერთ კლასში, მანდატურების მიერ დამყარებული მკაცრი სასკოლო რეჟიმი, ბავშვის რეპეტიტორებთან მომზადების პერსპექტივა, იმის შიში, რომ იქ მიღებული განათლებით ის თანამედროვე ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ვერ შეიძენს - ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბევრი მშობელი თავიდანვე უარს ამბობს საჯარო სკოლაზე და კერძო სკოლაში ფულის გადახდას ირჩევს.

საინტერესოა, რის მიხედვით ირჩევენ ქართველი მშობლები კერძო სკოლას.

გადავხედოთ ქართულ ინტერნეტფორუმს - სადაც ამა თუ იმ კერძო სკოლის შესახებ მშობლების არგუმენტები და შეფასებებია. ზოგი საკითხს მარტივად უდგება და კერძო სკოლასაც იმავე პრინციპით არჩევს, რითაც საჯარო სკოლას აირჩევდა - რომელია სახლთან უფრო ახლოს. მათი მოტივია ის, რომ "არ არის ურიგო, როცა ბავშვი სადაც ცხოვრობს, იმავე უბანში დადის სკოლაში. ავტობუსით რომ წაიყვანენ ქალაქის მეორე

ISSN 1512-1801

ბოლოში და მერე მოიყვანენ, მგონი, არ არის გამართლებული. ჩემი ყველა მეგობარი ჩემი ყოფილი კლასელი, ან სკოლელი და უბნელია".

ზოგისთვის განმსაზღვრელი არგუმენტი მაინც ფასია, მოტივი კი ასეთი - "საჯარო სკოლაზე ოდნავ უკეთესი იმით მაინც ხომ იქნება, რომ საცურაო აუზი აქვს და ზამთარში ბავშვს გუდაურში წაიყვანენ!"

ზოგისთვის ფაქტორია "არაგოიმი მასწავლებლები", ზოგისთვის - "მასწავლებლების განათლებისა და შეგნების დონე".

ზოგი მშობლისათვის კი ნამეცადინები ბავშვი შვებაა და ამიტომ არ ერიდებიან თანხის გადახდას კერძო სკოლაში.

ასეთ მნიშვნელოვან ნიუანსებს ამა თუ იმ სკოლის შესახებ სწორედ ფორუმებზე, ან ნაცნობ-მეგობრებისგან თუ გაიგებთ.

მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთო წარმატებისთვის. საქართველოში ამ მხრივ სერიოზული პრობლემა გვაქვს - ხშირ შემთხვევაში მშობლებს ნაკლებად აინტერესებთ, რას და როგორ აკეთებს სკოლა. ერთი მხრივ დაკავებულობა ("მთელი დღე ვმუშაობ და ვერ ვიცლი"), მეორე მხრივ - მენტალური პოზიცია ("მე რატომ უნდა გავაკეთო ის, რაც სკოლის საქმეა?"). ალბათ, არის სხვა მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მიზეზებიც.

მასწავლებლებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ მშობლებთან, შეიძლება იყოს ინდივიდუალური შეხვედრა მშობლებთან როგორც სკოლაში, ისე ოჯახში და მუშაობა ყველა მოსწავლის მშობელთან კრებების , კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებათა სახით, რადგან წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. თუმცა დღევანდელი სკოლები მხოლოდ მშობელთა კრებებით შემოიფარგლება.

თანამედროვე ცხოვრება, დღევანდელობა მოითხოვს მშობლის აქტიურ მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, რადგან მოსაწავლის ქცევა სკოლაში დიდად არის დამოკიდებული ოჯახურ აღრდაზე. სწორი აღზრდა ოჯახში ბავშვის დისციპლინისა და კარგი სწავლის საწინდარია.

სკოლამ უნდა შეძლოს , ბავშვი ცხოვრებისათვის მოამზადოს, მისცეს მას ისეთი ცოდნა, რომელსაც ის გამოიყენებს .

და ბოლოს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშობლებს უნდა ჰქონდეთ კონტაქტი შვილებთან და მასწავლებლებთან. შესაძლოა, მოხვიდეთ სახლში დაღლილ-დაქანცული, მაგრამ აუცილებლად დაუთმეთ შვილებს 15 წუთი მაინც. ჰკითხეთ რა მოხდა სკოლაში, რა იყო იმ დღეს მისთვის მნიშვნელოვანი. აუცილებელია ამ დროს იყოთ მასთან და არ იყოთ სხვა რამით დაკავებული. არსებობენ ისეთი დედებიც, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში არიან სახლში, მაგრამ არ აქვთ ურთიერთობა შვილებთან. ძალიან მნიშვნელოვანია, მშობელმაც გაუზიაროს პრობლემები შვილს, მოისმინოს მისი აზრი და ა.შ. გარდატეხის ასაკში აუცილებელია მშობელმა შვილს თავი აგრძნობინოს თანატოლად, რადგან ამ დროს აქვთ დიდობის მოთხოვნილება, წინააღმდეგ შემთხვევაში შვილს, ის მის რჩევას არ გაითვალისწინებს.

ISSN 1512-1801

თუ გვსურს, ჩვენი შვილი რეალიზებულ, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ, მყარი ღირებულებების მქონე ადამიანად აღვზარდოთ, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა გავიცნოთ ისინი.

გამოყენებული ლილტერატურა:

1. რამიშვილი ვ., ფილოსოფია, თბ., 2010.
2. ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. პედაგოკის ზოგადი საფუძვლები., თბ. 2010 წ.
3. www.Ambebi.ge
4. ბასილაძე ნ. ოჯახი და ბავშის აღზრდა., თბ. 1987 წ.
5. ჭანიშვილი პ. სკოლა და ოჯახი, 1916 . #2, გვ. 7
6. Www.liberali.ge/